



გიორგი გველესიანი

„აღდგომა, როგორც ძლევაა ჯოჯოხეთისა“

ქრისტეს აღდგომა უპირატესი და გამორჩეული მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში. მხსნელის სიკვდილზე გამარჯვებამ დაამსხვრია ჯოჯოხეთის კლიტენი და ადამიანს ცხოვნების შესაძლებლობა მიანიჭა. ქრისტიანულ რელიგიაში აღდგომა ყველაზე დიდი დღესასწაულია და ის თორმეტი დღესასწაულის მწვერვალია.

აღდგომას დიდი სულიერი და მისტიკური მნიშვნელობა აქვს. ადამიანური გონებისთვის წარმოდგენელი ფაქტია გარდაცვლილის გაცოცხლება, აღდგომა და ცად ამაღლება. ღვთის განგებისა და მისი ძალისათვის კი შეუძლებელი არაფერია. მხოლოდ ადამიანებს გვიკვირს ყოველივე ჭეშმარიტება და მას სასწაულს ვუწოდებთ. ამ აზრს კარგად ავითარებს ნეტარი ავგუსტინე თავის სწავლებაში, რომლის მიხედვითაც არსებობს ისეთი სახის სინამდვილე, რომელიც ადამიანს სასწაულად ეჩვენება, რადგან მისი გონება ვერ აღიქვამს უდიდეს სიბრძნეს მანამ, სანამ ის არ მიუახლოვდება ღმერთს და არ დაივანებს მასში.

აღდგომა გულისხმობს სიკვდილზე გამარჯვებას, ანუ ადამიანებისათვის სამოთხის კარის გაღებას, რომელიც პირველქმნილი ცოდვის შემდეგ დაიხურა. დაკარგულ სამოთხეში ადამიანთა „კვალადგებისთვის“ საჭირო იყო სწორედ გამორჩეული ადამიანის მიერ ღმერთის მტვირთველობა, რაც მხოლოდ მარადქალწულის სულიერი მზაობით განხორციელდა. მკვლევართა ნაწილისათვის ძველ აღთქმაში გამორჩეული პიროვნებები არც სამოთხეში იმკვიდრებდნენ ადგილს და არც ჯოჯოხეთში, თითქოს მათთვის სხვა მდგომარეობაც არსებობდა, თუმცა ამ თვალსაზრისთა საწინააღმდეგო პასუხს თავად წმინდა წერილი გვაუწყებს, რაჟამს გვამცნობს, თუ როგორ დასტირის მამამთავარი იაკობი საკუთარ შვილს და აღნიშნავს, რომ სიმწრით ჩავა შავეთში.

ვიდრე უშუალოდ ვისაუბრებდეთ იმ საკითხზე, თუ როგორ დაიხსნა ქრისტემ კაცობრიობა, საჭიროდ მიგვაჩნია განვსაზღვროთ, თუ როგორია ჯოჯოხეთის შესახებ სწავლება წარმართულ, ებრაულ და ქრისტიანულ კულტურებში, რასაც ტერმინ „ჯოჯოხეთის“ ეტიმოლოგიური მნიშვნელობებით წარმოვაჩინთ.

ეტიმოლოგია

ქართულ ენაში ჯოჯობეთს მრავალი სინონიმი მოეძებნება: „ჯანაბა, ჯანდაბა, მოუსავლეთი, ქვესკნელი, შავეთი, ბნელეთი, ბნელ-უკუნეთი, გეჰენია ცეცხლისა, გეენია, საიქიო“ . სულხან-საბას უწყებით, მისი უცხოენოვანი შესატყვისებია: „ლინუერნო, ჯაჰნამ, ასვალას“ . ჯაჰნამ ტერმინ გეენიას არაბიზებული ვარიანტია, ხოლო ქართულ ენაში შესაძლოა ის დროთა განმავლობაში ჯერ „ჯანაბის“, შემდეგ კი „ჯანდაბის“ სახით დამკვიდრდა. ტერმინი „მოუსავლეთი“ ერთგვარად გამოხატავდა იმ მოსაზრებას, რომ მას გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა.

ებრაულ ბიბლიაში ქვესკნელს, გარდაცვლილთა სამყოფელს - „შეოლი“ ეწოდებოდა. მაგალითად, როდესაც მამამთავარი იაკობი დასტირის თავის შვილს, მოთქვამს, რომ ის სიმწრით ჩავა შეოლში (შდრ. დაბ. 37.35). ტერმინი „შეოლი“ მეფეთა წიგნშიც გვხვდება: „უფალი აკვდინებს და აცოცხლებს; შავეთში (შეოლში) ჩაჰყავს და ამოჰყავს“ (I მეფ. 2.6). მართალი იობი თითქოს ერთგვარ უიმედობასაც კი იჩენს სამომავლო ხვედრის მიმართ: „განქარდება ღრუბელი და მიდის, ასე ჩადის შავეთში (შეოლში) და აღარ ამოდის“ (იობ. 7.9). ბიბლიაში ადამიანის აღსასრული ხშირად სახელდებულია მამა-პაპასთან შერთვად (იხ. დაბ. 15.15; 25.8; რიცხვ. 20.24). შავეთისათვის სახასიათოა მდუმარება (ფსალმ. 94.17; 115.17), ის ერთგვარად მივიწყებული ადგილი (ფსალმ. 88.13) და აჩრდილთა სამყოფელია (იობ. 26.5; ეს. 14.9; 26.14).

ძველბერძნულ ენაზე ქვესკნელს ეწოდება Ἀδης (ჰადესი), თუმცადა ის ასევე პერსონიფიცირებული ღვთაებაც იყო, რომელიც გამოხატავდა ჯოჯობეთის მბრძანებელს. ჰადესი გამოისახებოდა ორკაპით ხელში, სამთავიან შემზარავ ძაღლ კერბერთან (Κέρβερος) ერთად, რომელიც მიწისქვეშეთის კარიბჭის მცველი იყო.

ჰადესის გარდა, ჯოჯობეთის აღმნიშვნელად ასევე გვხვდება გეჰენია (მათ. 10.28; მარკ. 9.43 და ა. შ.), თუმცა სინამდვილეში მისი თავდაპირველი მნიშვნელობა სულაც არ იყო დაკავშირებული „ქვესკნელთან“, არამედ ის თორაძან ცნობილია, როგორც Gai Ben-Hinnom, რაც ითარგმნება როგორც „ჰინომის ველი“ (ისუ ნავეს ძე 15.8), რომელიც მდებარეობდა ქალაქ იერუსალიმის მახლობლად (IV მეფ. 23.10; II ნემტ. 28.3; იერ.7.32). ამ ადგილზე წვავდნენ ნარჩენსა და მკვდარ ცხოველებს. ასევე ცნობილია, რომ ჰინომის ველი იყო ადგილი, სადაც ტარდებოდა წარმართული რიტუალები და ღვთაება მოლოქისათვის ბავშვებს ცეცხლში ატარებდნენ.

ახალ აღთქმაში ქვესკნელის აღმნიშვნელად ასევე გვხვდება „ტარტაროზი“ (ταρταρα): „უკუეთუ ღმერთმან ანგელოზთა მათ შეცოდებულთა არა ჰრიდა, არამედ ჯაჭუებითა მით წყუდიადისადთა ტარტაროზსა შეაყენნა და მისცნა იგინი სატანჯველად და საშჯელად დამარხვად“ (II პეტრ. 2.4). პლატონის თანახმად, ტარტაროზი გახლდათ ადგილი, სადაც ცოდვილების სულები ღვთის სასჯელს იღებდნენ (პლატონი,



Γοργιάς, 523a-527c). მითოსის მიხედვით, ზევსმა ტიტანებს ადგილსამყოფლად ქვესკნელი განუმწესა მას შემდეგ, რაც ისინი მის წინააღმდეგ აჯანყდნენ. ბრიტანელი მეთოდისტი მკვლევარი ადამ კლარკი (1760-1832 წწ.) მითიურ უწყებასა და ბიბლიის ტექსტს შორის პარალელს პოულობდა, აიგივებდა რა ტიტანებს ურჩ ანგელოზებთან.

κατάβασις თემატიკა მითებსა და ქრისტიანობაში

ზოგადად, მითოლოგიურ ნარატივებში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პიროვნების შინაგან სამყაროში ჩაღრმავებისა და ძიების პროცესს. მრავალ მითში მოთხრობილია ღმერთის ან გმირის ჩასვლა მიწისქვეშეთში, რასაც ძველბერძენთათვის ეწოდებოდა κατάβασις (შთასვლა), ამ პროცესს კი მოსდევდა Αναβασις (ამაღლება), რომელიც სიმბოლურად უწყებულ იყო ელევსინურ ტრადიციაში.

ჩვენ შეგვიძლია სხვადასხვა ქვეყნის უამრავი გმირი დავასახელოთ, რომელთაც აქვთ საერთო მახასიათებელი - ესაა ქვესკნელში შთასვლის თემატიკა: ენქიდუ (გილგამეშის ეპოსი, ფირფიტა VII-VIII), ჰერაკლე, ორფეოსი, ოდისეუსი და ა. შ. მსგავსი თხრობა საერთოა როგორც აზიის ქვეყნებისათვის (ინდუიზმში - Yudhishtira), ასევე ევროპისათვის. ვიდრე უშუალოდ ვისაუბრებდეთ იმ საკითხზე, თუ რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვს κατάβασი-ის (ჯოჯოხეთში შთასვლის) შესახებ სწავლებას მითებსა და ქრისტიანობაში, ვრცლად შევეხებით, თუ რამ უბიძგა დასახელებულ გმირებს ამ ქმედებისკენ და რა იყო მათი მისწრაფების მიზეზი.

სიკვდილის პრობლემატიკა ძალუმად დგას გილგამეშის ეპოსში. მთავარ გმირს, გილგამეშს, უკვდება მეგობარი ენქიდუ, რომელიც ქვესკნელს უწოდებს „მტვრის სამყოფელს“, მისი უწყებით, იქ მკვდრებს ფრინველებივით ფრთები აქვთ, საკვებად განკუთვნილია თიხა და ისინი ნათლის გარეშე არსებობენ. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ებრაულ ბიბლიაში არსებული შეოლისათვის, ძველ ბერძნებთან კი - ჰადესისათვის, სახასიათოა წყვდიადი, ანუ ყოფა სინათლის გარეშე, რაც ცოდვილთა ღვთისაგან, ე.ი. ნათლის წყაროსაგან განდგომაზე მიანიშნებს. სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა გილგამეშმა, უკვდავების საიდუმლო („სიჭაბუკის ბალახი“)

მოეპოვებინა, თუმცა უშედეგოდ, რადგან, საბოლოოდ, მას ბოროტების არქექტიპულმა სიმბოლომ, გველმა, ეს საგანძური მოჰპარა.

ჰერაკლეს შემთხვევა სულ სხვა მიზეზითაა განპირობებული. გმირს მე-12 საქმედ მეფე ერისთევსმა დაავალა ქვესკნელიდან კერბერის ამოყვანა. დეტალურ უწყებას ჰადესის აღწერილობაზე ვხვდებით ჰომეროსის უკვდავ ნაწარმოებში „ოდისეა“: „შავეთში ჩასულს მოგესმის აქერონისა და ცეცხლმოკიდებული პირიფლეგეთონის ღრიალი. აქერონს იქვე კოკიტოსი, ტირილის მდინარე ერთვის, რომელიც სათავეს სიქსტის წყლებიდან იღებს...“ . როგორც ვხედავთ, აღწერილობები, რომლებიც გვხვდება როგორც ჰომეროსთან, ისე „გილგამეშიანში“, შემზარავია.

ბერძნული აზროვნებისათვის ცნობილი იყო ასევე სხვა შთახდომა ქვესკნელში, როდესაც ორფეოსმა შეძლო თავისი მომაჯადოებელი ხმით ჰადესი დაეთანხმებინა მკვდართა საუფლოში ჩასვლაზე, რათა იქიდან გაეთავისუფლებინა სატრფო, ტყის ნიმფა, ევრიდიკე, თუმცა მიწისქვეშეთის მბრძანებლის პირობით, მას მთელი გზის განმავლობაში შეუჩერებლად უნდა ემღერა და უკან არ უნდა მიეხედა იმაში დასარწმუნებლად, მოჰყვებოდა თუ არა მას სატრფო. ორფეოსი მიდიოდა და თან მთელი გზა უკრავდა, ხოლო ევრიდიკე მსუბუქად მისდევდა, უცებ მას გულში ეჭვი შეეპარა და უკან მიიხედა, რითაც დაარღვია პირობა და ევრიდიკეც ვერ გამოიხსნა ჰადესის ტყვეობისაგან. ამ მითს ტრაგიკული ფინალი აქვს, რადგან მთავარი გმირი ვერ დაიხსნის თავის სიყვარულს, ხოლო სიცოცხლეს ის ქალები მოუსწრაფებენ, რომელთაც ორფეოსი სიყვარულზე უარს ეუბნებოდა.

გარდა ჯოჯოხეთში (ჰადესში) ჩასვლისა, ბერძენთათვის მნიშვნელოვან თემას წარმოადგენდა ბედისწერა. მათ მითებში, თითქმის ყველა ტრაგედიაში, ეს საკითხი უმაღლეს საფეხურზე დგას. მათი ღმერთები შემზარავნი და საშიშნი იყვნენ. ღმერთების გადაწყვეტილ ამბავს ვერც ადამიანი და ვერც გმირი, რომელიც ნახევრად ღმერთი იყო, ვეღარ შეცვლიდა.

რა იყო მათი წარმოდგენით ჯოჯოხეთი, იგივე ჰადესი? სიკვდილის საუფლო, სადაც ვერც ერთი ადამიანი ხსნას ვეღარ მოიპოვებდა. ქრისტიანული სწავლება ემყარება იმ იმედს, რომ გარდაცვლილი ადამიანისთვის აღვლენილ ლოცვასა და გაღებულ მოწყალეებას ძალუძს მისი სატანჯველიდან დახსნა.

საინტერესო ინტერპრეტაციას გვთავაზობს ეგვიპტური რელიგია, რომლის თანახმადაც გარდაცვლილთა სულები სასწორზე იწონებოდა. ოსირისი, რომელიც იყო მკვდართა საუფლოს მთავარი ღმერთი, განსჯიდა ადამიანს. საინტერესოა თავად შედარება, რომ ადამიანის სული იწონებოდა და არ უნდა ყოფილიყო ბუმბულზე უფრო მძიმე, ანუ სულის სიმსუბუქით განისაზღვრებოდა და შეფასდებოდა ადამიანის უცოდველობა.



ჯოჯოხეთში ქრისტეს შთასვლა და აღდგომა

ჯოჯოხეთში შთასვლის საკითხს ქრისტიანობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მკვლევართა გარკვეული ნაწილი ცდილობს, ქრისტეს ჯოჯოხეთში ჩასვლის სახარებისეულ უწყებაში მხოლოდ მითიური საზრისი დაინახოს. რა თქმა უნდა, მსგავსება აშკარაა, თუმცა არსებობს უდიდესი განმასხვავებელი ნიშანი: ქრისტე ჯოჯოხეთში ჩადის, რათა კაცობრიობა გამოიხსნას და წარუძღვეს განღმრთობისაკენ. ჯოჯოხეთში მაცხოვრის ჩასვლას ჰქონდა არა მხოლოდ ცალკეული ინტერესი, მითიური გმირებისაგან განსხვავებით (ორფეოსი ჩადის ცოლისათვის, ოდისევსი - ტირეზიას სულის მოსახმობად და ა. შ.), არამედ, უნივერსალური მიზანი, რაც კაცობრიობის გამოიხსნას გულისხმობდა. ამიტომაც, აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია აზრი, რომ თითქოს მაცხოვრის მიერ „ჯოჯოხეთის შემუსვრა“ (I პეტრ. 3. 18-21) სხვა არაფერია, თუ არა ოდისევსის საგმირო საქმის ქრისტეზე გადატანა. ზემოთ ნახსენებ მითიურ გმირებს ამოდრავებდათ სულ სხვა მოტივაცია: ეს იყო პირადი დაინტერესება, ძიება, საყვარელი ადამიანის გამოხსნა თუ სხვა. ამ შემთხვევაში კი ქრისტე არ ჯერდება მხოლოდ ჯოჯოხეთის ძლევას, არამედ როგორც ეს გადმოცემულია იკონოგრაფიაში, ხელჩაჭიდებულს სასუფევლისაკენ ზეამოჰყავს ადამი, ევა და ყველა მართალი.

უდავოა, რომ სწავლება ჯოჯოხეთის შესახებ ყველა ხალხს ჰქონდა, თუმცა ის ღმერთი ან გმირი, რომელიც მას ცხონებისა და განღმრთობისაკენ წარუძღვებოდა - არა. „სადა არს, სიკუდილო, საწერტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევად შენი“ (I კორ. 15.55) , - დაიმოწმა რა პავლე მოციქულმა ოსე წინასწარმეტყველის მოხმობილი სიტყვები (იხ. ოს. 13.14), ამით მიანიშნა, რომ ძველი აღთქმის მოლოდინი აღსრულდა, რომ მაცხოვარმა კაცობრიობა დაიხსნა.

ჯოჯოხეთის დაძლევისა და სამოთხის კარის გახსნის თემატიკა ძველ აღთქმაში, 23-ე ფსალმუნის ტექსტში ჩანს: „აღახუენით ბჭენი თქუენნი, მთავარნო, და აღეხუენით ბჭენი საუკუნენი და შევიდეს მეუფჳ დიდებისა“ (ფსალმ. 23.9), რამაც კაცობრიობის მყოფობა ახალ საფეხურზე აღიყვანა.

ეკლესიის ადრეული მამების ცნობები ჯოჯოხეთის შესახებ

წმინდა კლიმენტი რომაელის კალამს მიკუთვნებულ ნაშრომში, არაავთენტურ ძეგლში – „მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ“, შემდეგ სიტყვებს ვხვდებით: „ხოლო მართალნი, რომლებმაც მოიპოვეს ბედნიერება, დაითმინეს განსაცდელნი და მოიძულეს სულის სიტკობებანი, როდესაც იხილავენ, თუ როგორ ისჯებიან საშინელი სასჯელითა და დაუშრეტელი ცეცხლით ისინი, ვინც შესცოდა იესოს მიმართ სიტყვებითა და საქმეებით და უარყო იგი, დიდებას აღუვლენენ თავიანთ ღმერთს და იტყვიან, რომ იქნება სასოება მისთვის, ვინც ღმერთს მთელი გულით ემსახურება“.

წმინდა ეგნატე ანტიოქიელი ერეტიკოსების შესახებ იუწყება, რომ ერეტიკოსი „დაუშრეტელი ცეცხლისაკენ მიემართება, სწორედ ასევე ისჯება მისი მსმენელიც“.

დასავლეთის საეკლესიო ტრადიციაში ცნობილია ტერტულიანეს მკაცრი მიდგომა იმ ადამიანებისადმი, რომლებიც მას არ მიაჩნდა სასუფევლის დამკვიდრების ღირსებად. ტერტულიანე ეწინააღმდეგებოდა ხელოვნებას კერძოდ, ის მიანიშნებდა იმჟამინდელი თეატრის ამორალურ მხარეზე და, არქიმანდრიტ კიპრიან კერნის შეფასებით, სამართლიანად მოუწოდებდა თავის მსმენელებს, არ გართობილიყვნენ წარმოდგენებით. ტერტულიანე უფრო ავითარებდა თავის აზრს საშინელი სამსჯავროს შესახებ და ის კატეგორიულად გამორიცხავდა მსახიობების, მასხარებისა და იუდეველი მწიგნობრების ცხოვნებას, ხოლო მართალნი, რომლებიც ანგელოზებთან ერთად სასუფეველს დაიმკვიდრებენ, ტერტულიანეს თანახმად, ერთგვარ სიხარულსაც კი განიცდიან ცოდვილთა დასჯის შემყურენი.

IV ს-ის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე კირილე იერუსალიმელი თავის შრომაში იუწყება: „თუკი ვინმე არის მართალი, მიიღებს ზეციურ სხეულს, რომ შეეძლოს ანგელოზებთან ერთად ღირსეულად მიმოიქცეოდეს. თუკი ვინმე არის ცოდვილი, მიიღებს საუკუნო სხეულს, რომელმაც უნდა დაითმინოს სასჯელი ცოდვებისათვის, რომ ცეცხლში საუკუნოდ იწვოდეს და არასოდეს დაირღვეს“.

იოანე ოქროპირი კრებულში „მარგალიტი“ შემდეგ მოსაზრებას ავითარებს, რომ ღმერთი თავის ნებაზე ადამიანის მოსაქცევად განგებულებითად ორ ხერხს მიმართავს:

1. გარდაცვალების შემდგომ სულის წარწყმედის შესახებ უწყებას;
2. საუკუნო ცხოვრების აღთქმას (იოანე ოქროპირი, მარგალიტი, 5, 23).

თხზულების V თავის 24-ე სიტყვაში მოღვაწე იუწყება, რომ ღმერთი ცოდვილებს სჯის ტარტაროზში. ასევე წმინდანი მორწმუნეებს მოძღვრავს: „ვსენებად საუკუნეთა მათ სატანჯველთად შემძლებელ არს, ვითარცა ძლიერსა რასმე წამალსა, განდევნად სულისაგან ყოველსა სიმყრალესა ცოდვისასა“. მდიდრისა და ლაზარეს იგავის კომენტარებისას კი ვხვდებით: „მოივსენე გეჰენისა უშრეტი ცეცხლი. გულისწმა-ყავ, ვითარმედ დაშრტეს საეშმაკოდ იგი ცეცხლი, დაღაცა თუმცა ცეცხლი არა იყო გამოვრდომად პირისაგან ღმრთისა“.



აბბა დოროთე (VI-VII სს.) ჯოჯოხეთისეულ ტანჯვას შემდეგნაირად განმარტავს: „ხორციდან გასვლის შემდეგ (ადამიანი) ვნებებთან მარტო რჩება: ისინი ტანჯავენ, მათგან მოვლენილი ტანჯვით იწვის, მხოლოდ მათ ანაბარაა, ისე რომ, ვეღარც ღმერთს იხსენებს... ვნებებით შეპყრობილი სულიც ნიადაგ თავისივე საქმეებითა და ცოდვების სიმწრისაგან იტანჯება, მათი გახსენებისას იჭირვის, რადგან ისინი ტანჯავენ მას“ . წმინდანის შეფასება ამ საკითხისადმი ორგვარია: თავდაპირველად, ის გვაუწყებს, რომ ცოდვილ ადამიანს ტანჯავს ვნებები, ხოლო შემდეგ მსჯელობისას გადმოსცემს, რომ დაუშრეტელი ცეცხლი არ განელდება, იქ სუფევს სიბნელე, სატანჯველები კი ბოროტი საქმეებისათვის არის განმზადებული .

მამათა ნაწერებიდან ჩვენ შეძლებისდაგვარად მოვიხმეთ ის ადგილები, რომლებიც ასახავენ ჯოჯოხეთის სატანჯველს და რომელთა წარმოსაჩენადაც იყენებდნენ ბერძნული სამყაროსათვის ცნობილ ალეგორიულ ენას; ამათ კი, რა თქმა უნდა, თავის დროზე ბიბლიაზეც იქონია გავლენა (გამომხატველობითი ენის მხრივ). საინტერესო თემაა ასევე ალეგორიულად წარმოდგენილი ჯოჯოხეთისეული სატანჯველი – „დაუშრეტელ ცეცხლში“ ცოდვილების ტანჯვა, რასაც მამებიც გადმოსცემენ.

გვსურს დავიმოწმოთ ბასილი დიდის ცნობილი ნაშრომიდან - „იმის შესახებ, რომ ღმერთი არ არის ბოროტების მიზეზი“ - ვრცელი ციტატა: „ზოგიერთი იტყვის: „თუ ღმერთი არ არის ბოროტების მიზეზი, რად არის ნათქვამი: „მე ვარ, რომელმან შევმზადე ნათელი და ვქმენ ბნელი“ (ეს. 45.7), და კიდევ: „უბედურებამ ჩამოაღწია უფლისგან იერუსალიმის კარიბჭემდე“ (მიქ. 1.12), და კვლავაც: „თუ მომხდარა ქალაქში უბედურება უფლის უნებურად?“ (ამოს. 3.6); და მოსეს დიდ საგალობელში ნათქვამია: „ამიერიდან იცოდეთ, რომ ეს მე ვარდა არ არის ღმერთი ჩემს გარდა! მე ვკლავ და მე ვაცოცხლებ, მე ვგმირავ და მე ვკურნავ. ვერავინ დაიხსნის ჩემი ხელიდან“ (II რჯული 32.39). მაგრამ ღმრთის სიტყვათა გულისხმისმყოფელთათვის არც ერთი აქ დამოწმებული ადგილი არ შეიცავს ბრალდებას უფლის მიმართ და არ ადასტურებს, რომ, თითქოსდა, ღმერთი იყოს ბოროტების მიზეზი. ამიტომაც, როდესაც მან ბრძანა: „მე ვარ, რომელმან ვქმენ ნათელი და შევმზადე ბნელი“, წარმოაჩინა, რომ ის არის ყოველი ქმნილებისა და არა ბოროტების შემოქმედი... ანუ გარდაქმნის და წარმართავს მას (ბოროტებას) უკეთესობისკენ, რათა შეცვალოს ბოროტის ბუნება და შესძინოს მას კეთილი თვისებები“ .

წმ. ისააკ ასური ბრძანებს: „ძალიან ხშირად მრავალი რამ წმ. წერილში არის უწყებული და გადმოცემული მრავალი სახელით, არა ზედმიწევნითი

მნიშვნელობით... ამას ისინი გაიგებენ, რომლებსაც ამის შემეცნების უნარი აქვთ“ (ჰომილია 83).

თავად იოანე ოქროპირიც, მიუხედავად იმისა, რომ ჯოჯოხეთისეული სატანჯველის შესახებ იყენებდა ალეგორიულ ენას, დასძენდა: ღმერთი არ არის ჩვენდამი მტრულად განწყობილი, არამედ საკუთარ თავს ჩვენვე ვემტერებით (შდრ. PG 61, 478).

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის შეფასებით, წმ. წერილი ჩვენეული ენით საუბრობს, რომელიც დაცემულ მდგომარეობაში მყოფებს გვესმის: „ჩვენი შემეცნების შესაბამისად მივანიჭეთ ღმერთს საკუთრივ ჩვენეული სახელწოდებანი“. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ წმინდა წერილი ღმერთის შესახებ მრავალ სიმბოლურ ტერმინს გადმოგვცემს, კერძოდ, მას სძინავს, მრისხანებს, ყურს უგდებს ადამიანს, იღვიძებს და ა. შ. ამგვარად ბიბლიას არ შეიძლება ცალსახად მივუდგეთ, რადგან ასეთი მიდგომა აშკარად ანთროპომორფიზმისკენ მიგვდრეკს, ისევე როგორც არ შეიძლება ჯოჯოხეთზე არსებული ცნობები მივიღოთ მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით, რომ თითქოს ცოდვილებს ეშმაკი ცეცხლის კუპრში სტანჯავს და მსგავსი; ეს მხოლოდ ალეგორიულ-სიმბოლური გადმოცემაა ჩვენთვის გასაგებ ენაზე. ამ საკითხის დასაბუთება საჭიროა, რადგან დღევანდელ რეალობაში მრავალი არასწორი მიდგომა არსებობს.

ჯოჯოხეთზე საუბრისას მაშინვე წარმოგვიდგება სამოთხე და - პირიქით. ჯოჯოხეთი არ არის ერთი კონკრეტული ფიზიკური ადგილი (მსგავსად „ოდისეაში“ აღწერილი მოვლენებისა), არამედ ის არსებობს მხოლოდ არარსებობაში (ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, რადგანაც საუკუნო სიცოცხლის სათავე ღმერთია, პიროვნული არჩევანიდან გამომდინარე, მისგან სამარადისოდ განშორებული და წარწყმედილი ადამიანი, ეკლესიის მამათა თანახმად, არარად მიიქცევა). ადამიანის სული არის უკვდავი. მას არ გააჩნია ნივთიერი შედგენილობა, ის ცოცხლობს სხეულთან ერთად, მაგრამ არის უხორცო. შესაბამისად, თუ მას არ გააჩნია ზომა, წონა, მაშინ, რა თქმა უნდა, ვერც ჯოჯოხეთი იქნება ფიზიკური, მატერიალური ადგილმდებარეობა. აქედან გამომდინარე, უნივთო სული როგორ შეიძლება ცეცხლში იწვოდეს და იტანჯებოდეს, როგორც ხშირად აღნიშნულია ცოდვილი სულების შემთხვევაში? მსჯელობას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ სული არის ამოუცნობი მაცოცხლებელი ძალა, რომელიც ადამიანს ღმერთმა შთაჰბერა.

განსხვავებული მდგომარეობა აქვს ცხონებული ადამიანის სულს, თუმცაღა საბოლოო ნეტარებას საყოველთაო აღდგომის შემდეგ მიაღწევს იგი, როდესაც, როგორც პავლე მოციქული ბრძანებს: ადამიანს ექნება „განსულიერებული სხეული“ (I კორ. 15.44), როდესაც აღდგომის მაღლითა და ადამიანის განღმრთობით სამყაროც განიღმრთობა.



რაც შეეხება იმას, რომ ბიბლიაში გვხვდება ერთგვარი უწყება სასჯელების შესახებ, მკვლევარი კალომიროსი აღნიშნავს, რომ მათ (სასჯელებს) არ გააჩნიათ ვინმეს გამოცვლის განზრახვა, არამედ იმ ბოროტების დასრულება, რომელსაც სჩადიან, რათა დედამიწა გადარჩეს სამარადისო წახდენისა და ტოტალური ნგრევისაგან. მსგავსი განზრახულება იყო როგორც ნოეს დროს, ასევე სოდომის განადგურებისას (Kalomiros, 1980: 28). უკანასკნელი სამსჯავრო - ეს არის არა უმოწყალო ღმერთის მიერ ადამიანის დასასჯელად ან მისი ცოდვიალიანობის წარმოსაჩენად გამართული სასამართლო, არამედ იმ რეალობის განცხადება, რომელსაც თავად ეს კონკრეტული ადამიანი ფლობს.

რაც შეეხება იმას, რომ ბიბლიაში გვხვდება ერთგვარი უწყება ჯოჯოხეთში „უმრეტი ცეცხლის“ ან „მარადიული ცეცხლის“ შესახებ, გვსურს მამათა ტრადიციაზე დაყრდნობით შესაბამისი პასუხი ჩამოვაყალიბოთ:

ცეცხლი, როგორც ერთ-ერთი გამომხატველი სიმბოლო, ხშირად გვხვდება ბიბლიაში: 1. ისრაელიანებს ღამით ცეცხლის სვეტად მიუძღვის ღმერთი (გამ. 40. 28-32); 2. სინაის მთას ცეცხლის არმური ასდიოდა, როდესაც მოსე წინასწარმეტყველი მთაზე აღვიდა; 3. ახალ აღთქმაში ქრისტე ბრძანებს, რომ მოვიდა მიწაზე ცეცხლის მოსაფენად (ლუკ. 12.49). თუკი ამ უკანასკნელ სიტყვებს ცალსახად მივუდგებით, გამოვა, რომ ქრისტეს სურს ცეცხლი მოჰფინოს, მაგრამ თუკი ალევგორიულ-სიმბოლურ მეთოდს დავეყრდნობით, მაშინ შევიძენებთ, რომ როგორც იოანე კიბისაღმწერელი ბრძანებს: „სიყვარულია წყარო ცეცხლისა“ (30, 18); 4. აღდგომიდან 50-ე დღეს სულიწმინდა მოციქულებზე ცეცხლის სახით გარდამოდის და ა. შ.

ხშირად მამათა ეგზეგეტიკაში ცეცხლი გამოხატავს ადამიანის წვას საღვთო სიყვარულისათვის, ხოლო პასიურობა - ერთგვარ სიცივეს, ასე რომ, თავად ღმერთი, ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, რომ ცეცხლის სტიქიით განიჭვრიტებოდა და თუკი ვიტყვით, რომ ჯოჯოხეთში მკვიდრობს არამატერიალური ცეცხლი, ეს მიანიშნებს ღვთის მყოფობაზე ჯოჯოხეთშიც კი. როგორც სამოთხეში, ისე ჯოჯოხეთში ღვთის სიყვარული და ენერგიები მყოფობენ, მართალთათვის ის ნეტარების წყაროა, ხოლო ცოდვილთათვის, რომელთაც არ სურთ სიყვარულის ცეცხლის აღზნება საკუთარ თავში, მტანჯველი.

ჯოჯოხეთი მწერლობაში

ზოგადად, ბიბლიური თემების გავლენას უდიდესი როლი უკავია ხელოვნებაში, იქნება ეს მხატვრობა, ქანდაკება, თეატრი თუ ლიტერატურა. არ დარჩენილა ანტიკური ბერძნულის, შუა საუკუნეებისა და რენესანსის ხელოვნების ნაწარმოები, რომელთა უმეტესობაში მსგავსი თემები არ იყოს გადმოცემული. უნდა ითქვას, რომ რელიგია, თითქმის ყოველთვის, განსაზღვრავდა ხელოვნებას. განსაკუთრებით ლიტერატურაში სამოთხისა და ჯოჯოხეთის თემატიკა აქტუალობას დღემდე ინარჩუნებს და პარალელის გასავლებად გვსურს მოვიყვანოთ ის ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებშიც ყველაზე უფრო მძაფრადაა გადმოცემული ქვესკნელში ტანჯვის თემატიკა: 1) ჰომეროსი: „ოდისეა“; 2) დანტე ალეგიერი: „ღვთაებრივი კომედია“ ; 3) ალბერ კამიუ: „ცხრაკლიტული“.

ჰადესში ჩასული ოდისეუსი ადამიანების საშინელ ტანჯვას ნახულობს, მაგ.: 1) ტიტოსს ორი ძერა უკორტნიდა ღვიძლს , რადგან ზევსის საყვარელ ლეტოსზე იმძლავრა; 2) ტანტალოსი წელამდე წყალში იდგა, როგორც კი წყლის დასაღევად დაიხრებოდა, დაიმონი იმწამსვე დაუშრობდა წყალს; 3) ოდისეუსი ხედავს ასევე სიზიფეს , რომელიც ღმერთებმა დასაჯეს და, მათ მიერ გამოტანილი სასტიკი განაჩენის თანახმად, მას მთის წვერზე უნდა აეტანა ლოდი. რამდენჯერაც მწვერვალს მიუახლოვდებოდა, ლოდი იმდენჯერვე ჩამოუგორდებოდა. ჩვენ არ აღვნიშნავთ ყველა იმ ცნობას, რომლებიც ამ უკვდავ ქმნილებაშია აღწერილი, თუმცა აშკარაა, შეიმჩნევა შურისმგებელი, დამსჯელი ზევსის სახეობა, რომელიც ადამიანებს მარადიულ სატანჯველს განუკუთვნებს.

სიზიფე იყო ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანი, რომელიც თავისი სიცრუის გამო დაისაჯა, ე. ი. ეს სასჯელი მისთვის არ იყო დაუმსახურებელი, მაგრამ თავად ზევსისგან იყო მისჯილი უმაღლესი ზომის ტკივილი, ტანჯვა. ამ მითიდან მომდინარეობს ყოველგვარი პესიმიზმი, - როდესაც სიზიფე მიაღწევს მწვერვალს და თითქოს აღარაფერი რჩება, სწორედ მაშინ უგორდება ლოდი და არა მაშინ, როდესაც აღმართზე ასვლას იწყებს ან მის შუა ნაწილში იმყოფება. აღსანიშნავია ისიც, რომ გზის დასაწყისში მისთვის ლოდი მძიმე არ არის, არამედ დროთა განმავლობაში მძიმდება, რაც ტანჯვას უორკეცებს. აქედან გამომდინარე, ბერძნულ მითებსა და, ზოგადად, წარმართულ აზროვნებაში, არ არსებობდა ხსნის იდეა. ადამიანს, ამ გადმოსახედით, შესაძლოა ხელიდან გამოეცალოს ყველაფერი სწორედ მაშინ, როდესაც შესაძლებელია მან მიზანს მიაღწიოს. ამ დროს მას არ შველის თავისი მიზანსწრაფულობა (telos), რაც ქრისტიანულ რელიგიაში უპირველესია: „ირეკდით და განგელოს თქვენ“ (მათ. 7.7). ეს მიზანსწრაფულობა კი არის განღმრთობისაკენ სვლა, რაც სწორედ ქრისტეს აღდგომის შემდგომი მონაპოვარია. ქრისტემ ჩვენთვის



დასთხია სისხლი, ეწამა, რომ ადამიანისათვის მიზნისაკენ სვლის რეალური იმედი და შესაძლებლობა მიენიჭებინა.

მსოფლიოს ერთ-ერთი გამორჩეული შემოქმედი დანტე ალეგიერი „ღვთაებრივ კომედიაში“ ყველაზე უფრო შემზარავად აღწერს ჯოჯოხეთს. მის უწყებაში გადაჯაჭვულია ძველბერძნული მითები, ქრისტიანული მსოფლმხედველობა, ფილოსოფია და ა. შ.

დანტე ალეგიერი ნაწარმოებს სამ ნაწილად ჰყოფს. შემოქმედის აღწერილ ჯოჯოხეთში გვხვდება 4 მდინარე, რომლებიც ჰომეროსთანაა დასახელებული: სტიქსი, აქერონი, ფლეგეტონი და ლეთე (ჯოჯოხეთი, ქება XVIII). დანტესთან სხვა მითოლოგიური გავლენებიც შეიმჩნევა, მაგალითად, მოხუცი ქარონი, ქვესკნელის მენავე, რომელსაც სულები ნავით გადაჰყავს აქერონზე. თეთრთმიანი მოხუცი შემდეგნაირად მიმართავს ცოდვილთა სულებს:

„ვაი თქვენ, სულნო, ო, ვაი, თქვენ, გარყვნილნო სულნო,
მე მისთვისა ვარ, იმ ნაპირზე რომ გადაგზიდოთ,
სადაც მარადი წყვდიადია, ცეცხლი და ყინვა“

პირველივე ქებაში მგოსანს ჯოჯოხეთში ხვდება ბაბრი (პანტერა) , ავხორცობისა და ზნეობრივი თავაშვებულობის სიმბოლო. V ქებაში მკითხველი შეხვდება მინოსს, რომელიც, ბერძნული მითოლოგიის თანახმად, არის ზევსის შვილი, ქვესკნელის მრისხანე მსაჯული. VII ქებაში სატანა განდიდებულია, როგორც ჯოჯოხეთის მეუფე. XII ქებაში მკვლევები კისრამდის სისხლში არიან ჩაფლულნი. დანტესეულ ხილვაში ყველა ის უღირსი ცნობილი ისტორიული თუ მითიური პირი გვხვდება, რომლებიც მკითხველისათვის ნაცნობია, მაგ.: 1) XVIII ქებაში იასონი დასჯილია ჰიპზიფილესა და მედეას მოტყუების გამო; 2) XIX ქებაში - სიმონ მოგვი; 3) პაპი ბონიფაციუსი - მომხვეჭელობის გამო; 4) XXIII ქებაში - კაიაფაა წარმოდგენილი - „აგდია იგი გზის გარდიგარდმო გათოშილი, დე, განიცადოს ყველას სიმძიმე, ვინაც იმას ფეხს დააბიჯებს“ (დანტე ალეგიერი, 2012: 110). XXIV და XXV ქებაში აღწერილია ქურდი, რომელმაც საკურთხევიდან წმინდა ჭურჭელი მოიპარა. ის ღვთისგმობასაც კი არ ერიდება და უფალს დაცინვით მიმართავს რომ მისი არ ეშიანია, რის გამოც მას გველები შემოეხვევიან. ეს ერთგვარად იმაზე მიუთითებს, რომ ცოდვილს ღმერთი ბოროტი ანგელოზის ხელით სჯის. მსგავსი მიდგომა ღმერთის შესახებ კი

ქრისტიანულ მოძღვრებას არ შეესაბამება; ნ. ბერდიაევი იმავე თემატიკაზე (რომ ღმერთი ცოდვილს ჯოჯობხეთში სჯის) მიუთითებდა, რომ მსგავსი მოსაზრება სხვა არაფერია, თუ არა ეშმაკის „ღმერთის ჟანდარმად“ წარმოჩენა, რაზეც ასევე კალომიროსიც წერს.

დანტეს მიხედვით, საინტერესოა გადმოვცეთ, თუ როგორ შეიქმნა თავად ჯოჯობხეთი: როდესაც ღმერთმა მთვარანგელოზი ლუციფერი ამპარტავნებისთვის ციდან მიწაზე ჩამოაგდო, ის ჩრდილო ნახევარსფეროზე თავით ჩაესო დედამიწის ცენტრში და დემონად იქცა, მის გარშემო კი ჯოჯობხეთი წარმოიშვა. ჩრდილო ნახევარსფერო ხვრელით უკავშირდება სამხრეთ ნახევარსფეროს, სადაც მდებარეობს სალხინებელი. ლუციფერის მიწაში თავით ჩარჭობისას მოპირდაპირე მხარეს ამოიბურცა მთა, საიდანაც მონაწილე სულელები სამოთხისკენ მიდიან. აქ შესცოდეს ადამმა და ევამ, ნამდვილი სამოთხე კი, მისი წარმოდგენით, ცხრა ცის ზევითაა. დანტესეულ ხედვაში ჯოჯობხეთი წარმოიქმნება ლუციფერის ეგოცენტრიზმის გარშემო. თავად ჯოჯობხეთი ძაბრისებური ადგილია, რომელიც ცხრა გარსისაგან შედგება. მისი ბოლო კი ემთხვევა დედამიწის ცენტრს, ბირთვს. აქ ყველაზე მძიმე ცოდვილები იტანჯებიან, სადაც წარმოდგენილია სამთავიანი დემონი ხახაში სამი ყველაზე დიდი მოღალატით: იუდა ისკარიოტელით, კასიუსითა და ბრუტუსით.

დანტე ალეგიერი მისდევს ბიბლიურ ტრადიციას, რომ ჯოჯობხეთის არსებობა განაპირობა ლუციფერის ეგოიზმმა, ასევე, როდესაც ადამისთვის სამოთხეში მყოფობა იყო თეოცენტრული, ის ჭვრეტდა ღმერთს და პირისპირ ესაუბრებოდა უფალს, მაგრამ როდესაც ევამ გამოხატა ავტონომიურობა (და შემდეგ უკვე მასთან ერთად ადამმაც გამოავლინა ეგოცენტრიზმი), ეს გახდა ადამიანის ღვთისაგან განდგომის საფუძველი. დანტესეულ ხედვაში ჯოჯობხეთიც სწორედ ზეციდან გადმოვარდნილი ლუციფერის გარშემო იქმნება, რომელსაც ფრთების უკუღმა ქნევით ჰგონია, რომ სამოთხემდე მიაღწევს.

ჯოჯობხეთის ტანჯვა რომ ეგოცენტრიზმს ემყარება, ამის შესახებ დოსტოევსკის ნაწარმოების გმირი ზოსიმეც ამბობს: ესაა „ტანჯვა იმის გამო, რომ უკვე შეუძლებელია ვინმეს შეყვარება“.

XX საუკუნის ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსის ჟან-პოლ სარტრის შემოქმედებაში გვხვდება ცნობილი ფრაზა ნაშრომიდან „ცხრაკლიტული“, რომლის გმირი - გუსტავი - ჯოჯობხეთს „სხვა ხალხს“ უწოდებს და ტანჯვას წარმოადგენს ორი განსხვავებული აზროვნების ქალის არსებობით, რომლებთან ერთადაც ერთ ოთახში ყოფნა ტანჯვაა.

ეგზისტენციალიზმისათვის მთავარი ბიძგი ნიცმეს მიერ დამკვიდრებული „სიცოცხლის ფილოსოფია“ გახდა, დააყენა რა მარადიული პრობლემატიკა, ადამიანის არსებობის არსი, რომელიც პესიმისტურია. ჟან პოლ სარტრის „ცხრაკლიტული“ არის თანამედროვე ადამიანის სულიერი ტანჯვის გამოხატულება, რადგან ის ნელ-ნელა დაშორდა ღმერთს და ტანჯვის სიმძაფრემაც იმატა. მის გარდა,



ძნელად თუ მოიძებნება სხვა ნაწარმოები, რომელშიც ასეთი ტრაგიზმით, პესიმიზმით, ცინიზმითა და ყოველგვარი ნიჰილიზმით იქნება გადმოცემული ეს საკითხი. „ცხრაკლიტული“ იმითაც არის საინტერესო, რომ თითქოს უფრო უახლოვდება რეალობას, მაგალითად იმით, რომ ჯოჯოხეთშიც კი ადამიანები ისეთივე ცხოვრებას აგრძელებენ, როგორსაც უწინ მისდევდნენ; მათ შეცვლის არც სურვილი აქვთ და აღარც შესაძლებლობა.

მართლმადიდებლური მიდგომა ჯოჯოხეთის შესახებ

ჯოჯოხეთზე არამართებულმა მიდგომამ, ზოგადად, ქრისტიანული თეოლოგია მკაცრ იურისპრუდენციად წარმოაჩინა. მკვლევარ ალექსანდრე კალომიროსის შეფასებით, ვის ძალუმს უყვარდეს თავისი მტანჯველი? იმათაც კი, ვისაც მთელი შეგნებით სურთ ღვთის რისხვას განერიდონ, მაგრამ არ შეუძლიათ ჭეშმარიტად უყვარდეთ ის (თავისი მტანჯველი), მხოლოდ საკუთარი თავი უყვართ, ცდილობენ რა განერიდონ რისხვას და მიაღწიონ მარადიულ ნეტარებას (Kalomiros, 1980: 2). მკვლევრის უწყებით „ათეიზმი ამ შემთხვევაში არის შურისმგებელი ღმერთის უარყოფა“. ადამიანი, რომელიც ათეისტი ხდება, ერთგვარად, თავს განარიდებს და თვალებს ხუჭავს ღვთის არსებობაზე. ამგვარად, ჩვენი ნამდვილი მოწინააღმდეგე ათეიზმი კი არ უნდა იყოს, არამედ შერყვნილი და გამრუდებული ქრისტიანობა (Kalomiros, 1980: 4).

ნ. ბერდიაევის შეფასებით: „ჯოჯოხეთი არ არის მარადიული [იმ გაგებით, რომ], ის არის დაუსრულებლად დროის გაგრძელება. ჯოჯოხეთში იმყოფებიან ისინი, ვინც მკვიდრობენ ჩაკეტილ სფეროში და არ გადადიან ღვთის სამეფოში .

დასასრულს გვსურს მოვიყვანოთ იოანე ოქროპირის სიტყვები, რომლებსაც აბბა დოროთე ციტირებს: „განა ყოველგვარ გენიაზე უარესი არ იქნება სირცხვილითა და ლანძვით დასჯა და ამოდენა სიკეთის მოკლებით გამოწვეული ჭირი და მწუხარება?“ (აბბა დოროთე, 2010: 112).

ჯოჯოხეთში ქრისტეს შთასვლა და მისი ძლევა კაცობრიობაში მხსნელის მიერ ეგოცენტრიზმის დაძლევაა, როდესაც მან აღდგომით ზეცა და მიწა შეაკავშირა. ქრისტეს მიერ „ჰადესის“ ძლევა კაცობრიობისეული მოლოდინის აღსრულებაა, რაც უწინ მოლოდინი იყო მითებში, თუმცაღა სახეცვლილი ფორმით.

ჯოჯობეთის ძლევას მოჰყვა სამოთხეში ავაზაკის შეყვანა, ზეცად მაცხოვრის ამაღლება და მამა ღმერთის მარჯვნივ დაბრძანება, რაც მის განდიდებას კი არ გულისხმობს (რადგან ის ძე ღვთისაა და მარადის მამის წიაღში მყოფობს), არამედ ამით კაცობრიობა აიყვანა თავისი მყოფობის ახალ, სულიერად ამაღლებულ საფეხურზე, მიანიჭა რა მას მაცხოვარმა განღმრთობის საშუალება.

ადამიანის აღდგომის უწყება გვხვდება ძველ აღთქმაში, როდესაც ელია წინასწარმეტყველმა მკვდრეთით აღადგინა სარეფთელი ქვრივის ვაჟი (III მეფ. 17. 7-24), ხოლო ელისე წინასწარმეტყველმა – ქალაქ სოდომში მცხოვრები ოჯახის შვილი (IV მეფ. 4). ეს არის ქრისტესშობამდე პერიოდის ის შემთხვევები, როდესაც ღმერთი თავის ძალმოსილებას წინასწარმეტყველთა მეოხებით ადამიანებს წარმოუჩინდა. ახალ აღთქმაში გვხვდება კიდევ ერთი უწყება ოთხი დღის გარდაცვლილი ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების შესახებ, რომელიც უშუალოდ ქრისტემ გააცოცხლა და ლაზარე თავისი ფეხით გამოვიდა აკლდამიდან. ეს საყოველთაო მოვლენა ხალხმა საკუთარი თვალთ იხილა (განსხვავებით წინა აღნიშნული უწყებისა, როდესაც წინასწარმეტყველებმა განცალკევებით, თავის სამყოფელში გააცოცხლა ბავშვი), თუმცა ჯერ ქრისტეს მოწინააღმდეგეები მზად იყვნენ შემდგომში ლაზარე მოეკლათ, რათა ხალხს ეს განსაკუთრებული მოვლენა დავიწყებოდა. ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა არ შემოიფარგლება მხოლოდ მისი პირადი გამარჯვებით, არამედ თავისი ჯვარცმითა და აღდგომით კაცობრიობას ცხოვნების საშუალება მიანიჭა.

წყარო - ჟურნალი „რელიგია“, 2016, #3.

<https://www.palamacentre.com/2019/05/19/აღდგომა-როგორც-ძლევად-ჯოჯობეთისა/>